

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

“გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტზე

ა). ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია ის ფაქტი, რომ „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ” საქართველოს კანონში სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტების სახელდების პროცედურებთან დაკავშირებით შედის ცვლილებები, შესაბამისად შესაბამისობაშია მოსაყვანი „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ” საქართველოს კანონის ზოგიერთი მუხლი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია მოქმედ კანონმდებლობაში ისეთი ნორმების შექმნა, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს (ამ შემთხვევაში – ქ. თბილისის საკრებულოს) მისცემს საშუალებას მოახდინოს მის საზღვრებში მდებარე სხვადასხვა სახის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების, აღრიცხვის, რეგისტრაციის წესების დადგენა ნორმატიული აქტის სახით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილების თანახმად მე-2 მუხლი ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით და ემატება პუნქტი, რომლითაც განისაზღვრება ქ. თბილისში მდებარე სხვადასხვა ობიექტების სახელდების პროცედურები.

აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, საკრებულოს ექნება უფლებამოსილება ნორმატიული აქტის საფუძველზე დაამტკიცოს წესი დედაქალაქში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ, რომლის მიღებაც უდაოდ მოაწესრიგებს დედაქალაქის ქუჩებსა და სხვა ადგილებში ჯერ კიდევ მრავლად შემორჩენილი საბჭოთა, კომუნისტური პერიოდის დროინდელი სახელწოდებების სახელდების მეტად მტკივნეულ პროცესს.

ასევე რიგ მუხლებში ტერმინი „ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოები” სწორდება შემდეგი სიტყვებით „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები”.

ბ). კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება დაკავშირებული არ არის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

სახელმწიფოს რაიმე, ახალი ფინანსური ვალდებულება არ უნდება.

დ). კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

დ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის შინაარსი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

დ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

დ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ.დ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია ქალაქ თბილისის საკრებულო და ქ. თბილისის მერია.

დ.ე) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი ლაშა თორდია.